

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ტრენინგების კონცეფცია საქართველოს პარლამენტის 2019 წლის 19 მაისის შუალედური არჩევნების მეორე ტურისთვის

კონცეფცია ითვალისწინებს პროცედურული ტრენინგების ჩატარებას ორ ეტაპად N1 მთაწმინდის საარჩევნო ოლქში შემავალი 31 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის. ტრენინგებს ჩატარებას უზრუნველყოფენ სწავლების ცენტრის თანამშრომლები.

განხორციელების პერიოდი: 3-7 ივნისი, 2019 წელი

პროცედურული ტრენინგების სისტემა

I ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების სწავლებას. პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების უფლებამოსილებებზე (საორგანიზაციო, საზედამხედველო და რეაგირებითი) კენჭისყრის დღეს საარჩევნო ოპერაციების მართვის პროცესში, მათ შორის განხილულ იქნება:

- საარჩევნო უბნის გახსნა და კენჭისყრის პროცესის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები;
- კენჭისყრის პროცესში პროცედურული რისკების იდენტიფიცირება და რეაგირება;
- ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში და კენჭისყრის შემაჯამებელი ოქმის შევსების ინსტრუქცია;
- საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესი;
- საარჩევნო უბანში ფოტო-ვიდეოგადაღების რეგულაციები და არჩევნების უსაფრთხოების საკითხები;
- კენჭისყრის დღის განცხადება/საჩივრები;
- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნის წარმოება.

I ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 2.30 საათი

I ეტაპის განხორციელების პერიოდი: 3-5 ივნისი, 2019 წელი (3 დღე)

II ეტაპი დაეთმობა საუბნო საარჩევნო კომისიების შეცვლილი (ახალი) წევრების სწავლებას. პროფილური სასწავლო პროგრამის ფარგლებში მონაწილეები გაეცნობიან შემდეგ ძირითად საკითხებს:

- საარჩევნო უბნის გახსნა და საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შორის ფუნქციების წილისყრით განაწილება;
- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ საქმიანობის განხორციელება კენჭისყრის პროცესში ამომრჩევლის საარჩევნო უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად;
- ამომრჩეველთა პერსონალური მონაცემების დაცვა;
- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირების უფლებრივი მდგომარეობა;

- საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიერ საქმიანობის განხორციელება საარჩევნო უბნის დახურვისა და ხმის დათვლის პროცესში;
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება საუბნო საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო კომისიების წევრთა პროცედურული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით, ტრენინგები ჩატარდება კომბინირებული მეთოდოლოგიის გამოყენებით, მათ შორის, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გადრმავეების უზრუნველსაყოფად მონაწილეები განახორციელებენ ეპიზოდურ ინსცენირებებს. პრაქტიკული სწავლების ფარგლებში, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრები ასევე გაეცნობიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ამომრჩეველთა კენჭისყრაში მონაწილეობის საკითხებს ვიდეორგოლის ჩვენებით და შესაბამისი ინსტრუქტაჟის მიღებით.

II ეტაპის პროგრამის ხანგრძლივობა: 2.30 საათი

II ეტაპის განხორციელების პერიოდი: 6-7 ივნისი, 2019 წელი (2 დღე)